



**საქართველო**  
**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის**  
**გამგეობა**



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 10

N 1204  
14/09/2015

1204-09-2-201509141653



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს**

**ბატონო გიორგი,**

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მ/წლის 22 ივლისს შეტანილი ცვლილებების თანახმად (გამოქვეყნდა მ/წლის 10 აგვისტოს), კანონიდან ამოღებული იქნა 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ბ“ პუნქტი, ხოლო 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ვ“ პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: გამგებელი „არაუგვიანეს თებერვლისა საკრებულოს უგზავნის შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს; ახორციელებს შესყიდვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“ ცვლილების ძალაში შესვლის დღიდან, მუნიციპალური შესყიდვების გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა აღარ წარმოადგენს საკრებულოს საკუთარ უფლებამოსილებას და იგი გამგებლის უფლებამოსილებაა.

ამდენად, ზემოთაღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 ნოემბრის N107 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

პროექტი მომზადებულია გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ, მისი მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, მომხსენებლად წარმოდგიდგენთ გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის, როლანდ ლაშხიას კანდიდატურას.

გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

ზაზა ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2015 წლის სექტემბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 ნოემბრის N107 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ვ“ პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 ნოემბრის N107 განკარგულება.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე